საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного народных депутатов

№44 (6270) ხუთშაბათი 12 აპრილი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი დღე — ერთ ოვნული მიმდინარე წლის მოსავლის სამსახურში

მეაბრეშუმეობა: ვიცოდეთ მისი ფასი

ლოდინის დრო აღარაა

ახლა აქტიური მოქმედების დროა და არა გაცვეთილი დამყვირალა ლოზუნგების მოშველიებისა, არც იმის ლოდინის, თუ რას გიწილადებენ, რა დაგრჩება შენს სასარგებლოდ და რა არა. დასახნავი უნდა დაიხნას, გასაშენებელი უნდა გაშენდეს.

ამ წერილის ასეთი შესავალი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების გულგრილობა-უმოქმედობამ გვიკარნახა, რასაც ისინი აბრეშუმის საკვები ბაზის განმტკიცებისადმი იჩენენ. იქნებ ვინმე შემოგვედაოს კიდეც, თუთის ნერგის კი არა, ვენახისა და ბაღის გაშენების საქმეს მოვწყდით და ეს თუთის ნერგი ვიღას რაღაში გაახსენდებაო.

მეაბრეშუმეობა რაიონის სოფლის მეურნეობის არა ნაკლებ ტრადიციული დარგია და, მით უფრო, ახლა, როცა რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ზრუნვა ყველა ჰეშმარიტი ქართველის საფიქრალია და ქართულ აბრეშუმს ამ მხრივ თუ რა საქმის გაკეთება შეუძლია, ამაზე ბევრი დაიწერა და აღარ გავიმეორებთ. მხოლოდ ვიტყვით იმას, თუ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს რაოდენ დიდი მოგება მისცა აბრეშუმის პარკის წარმოების გასული წლის საგეგმო დავალების შესრულებამ. რაიონის თითქმის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობას საბიუჯეტო თანხიდან მიღებული აქვს ფასდანამატი 100 პროცენტით, ხოლო უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაზე ეს თანხა 150 პროცენტითაა გაცემული. სულ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებზე პირდაპირი დანახარჯის, გაწეული შრომის ფასად გაცემულია 214 747 მანეთი ფასდანამატის სახით კი 211.730 მანეთი. ყველაზე მეტი ფასდანამატი მიღებული აქვთ ცაგერის (27 ათასი მანეთი), ლაჯანის (24 ათასი), ლასურიაშის (25 ათასი), ჩხუტელის (19 ათასი), ლაილაშის (17 ათასი) კოლმეურნეობებს, ხოლო უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ამ დარგიდან ფასდანამატის სახით 33.817 მანეთი აქვს მიღებული, რაც რეკომენდებულია მოხმარდეს დარგის შემდგომ განვითარებას, ნერგის შეძენას, თუთის სანერგე ფართობების დაცვა-შემოკავებას და მეაბრეშუმეთა მატერიალურ წახალისებას.

მეაბრეშუმეთა წახალისების მიზნით ჯილდოშნული თანხა კი გამოიყენეს მხოლოდ ცაგერის, ლასურიაშისა და ჩხუტელის კოლმეურნეობებმა, მაგრამ საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით მეტად ინდიფერენტულად იქცევიან რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები.

ამ მხრივ მისაბაძია ლასურიაშის კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა მოქმედება. მათ საკუთარი სანერგე მოაწყვეს და ადგილობრივ პირობებს შეგუებული 20 ათასი ძირი ორწლიანი სტანდარტული ნერგი აქვთ გამოყვანილი, სამომავლოდ პერსპექტიული, საიმედო, თითოეული ძირის ფასი 50 კაპიკია.

რაიონის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობას აქვს თუთის ნერგის გაშენების გეგმა. ასე, მაგალითად ლაჯანის, ცაგერის და ლასურიაშის კოლმეურნეობებში და უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში 2000-2000 ძირი თუთა გასაშენებელი, ხოლო დანარჩენ საზოგადოებრივ მეურნეობებში 1800-1800 ძირი. სულ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში წელს 16000 ძირი თუთის ნერგი უნდა გაშენდეს. ეს კარგად იციან თითოეულ საზოგადოებრივ მეურნეობებში, მაგრამ დამაფიქრებელ, პირდაპირ საგანგაშო გულგრილობას იჩენენ.

მიუხედავად მრავალჯერ შეხსენებისა, რაიონის არც ერთი საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელი თუ სპეციალისტი არ ზრუნავს, გარდა ლასურიაშის კოლმეურნეობისა, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთარი სანერგე აქვს და აქ თუთის ნერგის გაშენების გეგმის შესრულებასაც რა დაუდგება წინ.

მიზეზად კოლმეურნეობის მოსალოდნელი გაუქმების მოშველიება ვერაფერი პატრიოტობა და მამულიშვილობაა, ვიდრე ჯერჯერობით ყველაფერი თავის ადგილზეა და საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელობაში პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა, რას ველოდებით, სასწრაფოდ ვიზრუნოთ ჩვენთან, ჩვენს პირობებში გამოყვანილი თუთის ნერგის შეძენისა და გაშენების გეგმის შესრულებისათვის.

ჩვენი დღეების ადამიანები

□

იმრავლოთ

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება კიდევ კარგ დროს მოხდა და ლოზუნგმა—ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, ჩვენსავე მიწაზე ლამის ეროვნულ უმცირესობად არ გვაქცია.

სწორედ ამიტომაც, რომ ჩვენი თვალი და ყური მრავალშვილიანი ოჯახებისკენაა მიმართული და იმედით, რწმენით შევყურებთ ასეთ ოჯახებს, რადგან მათ ჭერქვეშ საქართველოს მომავალს ვხედავთ.

სოფელ ქულბაქში ნათელა და დიომიდე სვანიძეების ოჯახში 6 შვილი იზრდება. მათგან ორი დაოჯახებულია, ერთი სამხედრო სამსახურშია, სამნი კი მოსწავლეები არიან.

ოჯახში შრომისმოყვარეობის სულისკვეთება სუფევს. დედ-მამა კარგ მაგალითს უჩვენებს თავის მომავალს. შრომაში ატარებენ თავიანთ ცხოვრებას და შვილებიც დედ-მამის კვალს მიჰყვებიან. დიომიდე სვანიძეს მეცხოველეობის ფერმაში შრომის დიდი გამოცდილება აქვს. ახლაც იჯარით ჰყავს ჩაბარებული და 40 თხას უვლის.

სავალალოა, რომ ერთ დროს სოფლის სრულიად მოულოდნელმა განსახლებამ კატასტროფულად შეამცირა სოფელში საბრუნავი მიწის ფართობი, ამ 42 კომლიანი სოფლის სახნავ-სათესი ფართობი ახლა მხოლოდ 6 ჰექტარია. ამიტომაა, რომ სვანიძეების ოჯახს 0,2 ჰექტარი სასიმინდე ფართობი აქვს გაპირონებული იჯარით. შრომა უყვართ და ცხოვრებაც არ უჭირთ. მარტო გასულ წელს 1,5 ტონა ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს, 2 ტონა კი—წინა წელს. ახლა კი გლეხური მეურნეობის დანერგვის მცდელობა იმის იმედს იძლევა, რომ 6 ჰექტარამდე შემცირებული სახნავი ფართობი გაიზრდება, რადგან რეზერვები უხვადაა. სოფელ ქულბაქის მიწის ფონდის პასპორტში გარკვევით წერია, რომ 289 ჰექტარი ტყე-ბუჩქნარის გარდა სათიბ-საძოვარი 80 ჰექტარია. სულ კი მიწის ფონდი აქ 320 ჰექტარს შეადგენს.

ასე, რომ დიომიდე სვანიძის ოჯახის მსგავსი მრავალშვილიანი ოჯახები სჭირდება ბუნებრივი პირობებით მდიდარ ჩვენს სოფლებს, უპატრონოდ მიტოვებულ მიწებს, რაიონის ეკონომიკას, სრულიად საქართველოს დარღვეულ დემოგრაფიულ წონასწორობას.

ჯ. მანდარია.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“ მისი გამოქვეყნების მომენტიდან.

2. დადგინდეს, რომ არავითარი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის საკითხის დაყენებასთან და ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კანონს „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“, მიუხედავად იმისა, განხორციელდა იგი კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე თუ შემოღების შემდეგ, არ წარმოშობს არავითარ იურიდიულ შედეგს არც სსრ კავშირისა და არც მოკავშირე რესპუბლიკებისათვის.

3. მოკავშირე რესპუბლიკების უზენაესმა საბჭოებმა შეუსატყვისონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ა. ლუკიანოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 3 აპრილი.

სოფლის მეურნეობის განვითარება—

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმი

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივნის **ე. კ. გუგავას** მოხსენება საკითხზე—სკკპ 27-ე ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმის დადგენილებათა შესაბამისად რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის პარტიული ხელმძღვანელობის მიზნით გაწეული მუშაობისა და მისი შემდგომი ამოცანების შესახებ.

აღინიშნა, რომ კომუნისტური პარტიის მიერ დასახულმა რევოლუციური გარდაქმნის კურსმა თვისობრივად ახალ განვითარებას მიაღწია.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობამ ქვეყნად მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების კიდევ უფრო განვითარების, კონსტიტუციური წყობილების, მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლების და უშიშროების განმტკიცების მიზნით დააწესა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი, პრეზიდენტად არჩეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის მარტის პლენუმზე პარტიის მიერ შემუშავებული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიმართულებებიდან მთავარი როლი აგროსამრეწველო წარმოებას და კონკრეტულად, მის ცენტრალურ რგოლს—სოფლის მეურნეობას განეკუთვნება.

აგროსამრეწველო კომპლექსის დაჩქარებულად განვითარების აუცილებლობის საკითხს განსაზღვრავს სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში დაშვებული ჩამორჩენა და ნაკლოვანებები, რაც სერიოზულ სიძნელეებს ქმნის სასურსათო პრობლემის კონსტრუქციულ გადაწყვეტაში.

ამ საპროგრამო ამოცანების პოზიციიდან განიხილება ის დიდი მოთხოვნები, რომელსაც პარტია, როგორც თანამედროვე ეტაპზე, ისე განსაკუთრებით უახლოესი პერსპექტივისათვის სახავს ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მიმართულებით.

კოოპერაციულ მოძრაობას ჩვენში ღრმა საფუძველი აქვს. კოოპერაციულმა ფორმამ, კოლმეურნეობებმა ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, სასოფლო-სამეურნეო არტელებმა ჩვენს რაიონში ოცდაათიან წლებში დაიწყო ფუნქციონირება. 1933 წლისათვის რაიონში შექმნილი იყო 52 კოლმეურნეობა 2489 კომლით. კოლმეურნეობათა რაოდენობამ 1938 წლისათვის 64 მიაღწია, რომელშიც გაერთიანებული იყო 6357 კომლი 30.851 კოლმეურნე წევრით. ამათგან 12 ათასი შრომისუნარიან კოლმეურნეს შეადგენდა.

ისევე, როგორც მთელს ქვეყანაში, რაიონის კოლმეურნეობებმაც განიცადეს ბევრი რთული ისტორიული შემობრუნება და სიძნელე. მართვის მბრძანებლური მეთოდების გაძლიერების, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიული საფუძვლების შეზღუდვის პირობების დამკვიდრებამ დიდი ზიანი მიაყენა აგრარულ სექტორს, იყო დრამატული, ყოვლად გაუმართლებელი მომენტებიც,—საზოგადოებრივ მეურნეობათა დამსხვილებები.

1950 წელს მოხდა პირველი დამსხვილება და დარჩა 30 კოლმეურნეობა, 1966 წლისათვის დარჩენილი 27 კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა 12 დამსხვილებული კოლმეურნეობა.

კოლმეურნეობების ეკონომიკაზე სერიოზულ გავლენას ახდენდა თვითნებობის ხშირი კამპანიები. დიდ ზარალს იწვევდა წარმოებაში გიგანტომანია. მარტო უკანასკნელ სამ ხუთწლედში რაიონში აშენდა 3640 ათასი მანეთის საბალანსო ღირებულების მქონე 8 მეცხოველეობის კომპლექსი, რომელთაგან ლასურიაშის კოლმეურნეობაში აშენებულ სახბორე-გამოსაზრდელ კომპლექსს, რომლის საბალანსო ღირებულებაც 650 ათას მანეთს შეადგენს, ერთი დღეც არ უმუშავია.

კოლმეურნეობათა დამსხვილებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოცულობათა ზრდაზე, ასევე რაიონის სოციალურ, ყოფით და ფსიქოლოგიურ გარემოებებზე, რომელთა დამადასტურებლად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ 1950 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურები ითესებოდა 8886 ჰექტარზე. ამათგან მარცვლეული 8541 ჰექტარზე, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა— 12061 სულს შეადგენდა, ფუტკრის რაოდენობა—2250 ძირს, ვენახი —700 ჰექტარს, ბაღის ფართობი—688 ჰექტარს. კოლმეურნეობათა გაუქმება-გამსხვილებამ მოშალა თაბორის, სურმუშის, უცხერის, ცხუკუშერის, ლახეფის, მახაშის, აღვის, დეხვირის, ლარჩვალის, წილამიერის, ლაცორიის, საირმის და სხვა მრავალი სოფლების ცენტრები, გაიზარდა და ყოველგვარ მართვას მოკლებული აღმოჩნდა მიგრაციის საკითხები. შედეგიც სახეზეა, ერთ დროს 35-40 ათასიანი მხარე დღეისათვის 17 ათასამდე კაცს ითვლის.

პრობლემები, რომლებიც რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსში დაგროვდა, მოიცავს არა მარტო წლებს არამედ ათწლეულებსაც, საბოლოო შედეგებით კი მთავარი შემაფერხებელი ბარიერი გახდა.

წინდაუხედაობამ, მხოლოდ ერთი დღის წარმატებებით დაკმაყოფილებამ, მოჩვენებითი კეთილდღეობის ფორმებისა და მეთოდების დანერგვამ, იერიშობანამ გეგმების შესრულებისათვის და ამ საქმეში მთელი პარტიული მექანიზმის ამოქმედებამ ვერავითარი ეკონომიკური ეფექტი ვერ მოგვიტანა.

უხეშად ირღვეოდა თანაფარდობა შრომის ნაყოფიერებასა და ზრდის ტემპებს შორის, ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ 1976 წლის შემდგომ ათწლეულში რაიონის კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათშორისო საწარმოებში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 42 პროცენტით, ხოლო შრომის ანაზღაურება—100 პროცენტით.

აღნიშნული მდგომარეობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ კოლმეურნეობათა გამგეობები, სამეურნეობათშორისო საწარმოთა ხელმძღვანელები, აგრონომიული, საბუღალტრო აღრიცხვის და ეკონომიკური სამსახურების მუშაკები სუსტად წვდებოდნენ ეკონომიკის საკითხებს.

ვოლუნტარიზმისა და უძრაობის პერიოდში ჩვენმა ეკონომიკამ განვითარების კრიზისულ ზღვარს მიაღწია. მიუხედავად მრავალგვარი ექსპერიმენტის შემოღებისა და დანერგვის ცდისა, შრომის ორგანიზაციის დამკვიდრებულმა ფორმებმა, რომელიც არსებითად სცილდებოდა საბოლოო ეკონომიკური შედეგებიდან შრომითი სარგოს მიღებას, რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციები სავალალო ეკონომიკურ შედეგებამდე მიიყვანა. 1986 წლისათვის რენტაბელობის დონემ მინუს 14 პროცენტი შეადგინა, გარღვევამ საკუთარ საბრუნავ საშუალებებში 447,6 ათას მანეთს მიაღწია, ბანკის ვადაგადაცილებულმა სესხებმა—1730 ათას მანეთს, ხოლო ერთი კოლმეურნის წლიური ანაზღაურება 684 მანეთამდე დავიდა.

რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა მდგომარეობიდან გამოსავალი ჰპოვეს ახალი სამეურნეო მექანიზმის—კოლექტიური და ოჯახური იჯარის დანერგვაში.

2000 წლამდე რაიონის კოლმეურნეებს, ოჯახებს, ბრიგადებს, რგოლებს მიემაგრათ მარცვლეულის, მსხმოიარე და არამსხმოიარე ვენახის, ბაღის, სათიბისა და საძოვრის ფართობები. იჯარაში ჩაება მოსახლეობის 90 პროცენტი, გამოთავისუფლდა ზედმეტი პერსონალი, რითაც 769 ათასი მანეთით შემცირდა ხელფასებში დანახარჯები. საზოგადოებრივ მეურნეობათა უმრავლესობას გაუჩნდა საკუთარი საბრუნავი საშუალებები.

საზოგადოებრივ მეურნეობებში ეკონომიკური მაჩვენებლების ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, საფინანსო მდგომარეობა რეალურად ძალზე მძიმედ გამოიყურება. ფასდანამატის გარეშე გასული სამეურნეო წელი 1451 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრეს. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა აქვთ ცალკეულ მეურნეობებს. აღსანიშნავია, რომ რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და გაერთიანებებს ძირითად და განუყოფელ ანგარიშზე ერიცხებათ 3.427 ათასი მანეთი. ამასთან აქვთ 6783 ათასი მანეთის სახელმწიფო ვალი, აქედან მიმდინარე წელს დასაფარავია 437 ათასი მანეთის კრედიტი.

ახლახანს საზოგადოებრივი მეურნეობების საანგარიშო კრებებზე რაიონის მშრომელებმა პრინციპულად დასვეს საკითხი კოლმეურნეობების გაუქმების და მათ ბაზაზე გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბების შესახებ.

რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების გლეხურ მეურნეობებად განვითარება აუცილებლობას წარმოადგენს იმის გამოც, რომ რთული რელიეფური პირობები არ იძლევა საშუალებას სასოფლო-სამეურნეო წარმოება განვითარდეს მაღალი რენტაბელობის მიღწევით. 1987 წელს და იმის წინა პერიოდში, როცა რაიონში არ იყო დანერგილი ოჯახური იჯარა, საზოგადოებრივ მეურნეობათა რენტაბელობის დონე ფასდანამატისა და დოტაციის ჩათვლით 9,6 პროცენტს არ აღემატებოდა. 1988 წელს ოჯახური იჯარის დანერგვით გაიზარდა რენტაბელობის დონე, მაგრამ იგი მაინც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა იმუშაონ თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებში.

პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ოჯახური იჯარა წინადადგმული ნაბიჯია საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკური გაჯანსაღებისათვის, მაგრამ ისიც ნათელია, რომ საკოლმეურნეო წყობილების ზოგიერთი მანკიერი ტრადიციების გამო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზოგიერთი დარგის (მეცხოველეობა, მევენახეობა) განვითარებას და პროდუქციის მკვეთრ ზრდას იჯარის დანერგვითაც ვერ ვაღწევთ, ვინაიდან მიწა, რომელიც ხელშეკრულებით გარკვეული ვადით გადაეცათ კოლმეურნეებს, მაინც ვერ გაითავისა გლეხმა, რადგანაც სამემკვიდრეო უფლება მიწაზე მას არ გააჩნია. ამიტომ არის, რომ არ ხდება ახალი ვენახებისა და ბაღების გაშენება, მეჩხერიანობის შემცირება, ორგანული სასუქებით განოყიერება და სხვა.

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ იჯარა გახდა წინაპირობა კოლმეურნეობების გლეხურ მეურნეობებზე გადაყვანისა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რთული რელიეფური პირობების გამო რაიონში თითქმის ყველა სასასოფლო-სამეურნეო სამუშაო ხელით სრულდება და ძლიერ შეზღუდულია მექანიზაციის გამოყენება, გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის ძირითად პირობად და მისი დანერგვის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ საზოგადოებრივ სექტორში არსებული მიწის გადაცემა მოსახლეობაზე სამემკვიდრეო უფლებით, მუდმივ სარგებლობაში, მიღებული მოსავალი უნდა დარჩეს გლეხის განკარგულებაში, რომელიც გაყიდის მას თავისი ნება-სურვილით ბაზრის ან სახელმწიფო დამზადების მეშვეობით.

იმისათვის, რომ გადავიდეთ გლეხურ მეურნეობაზე, საჭიროა უპირველესად მოვახდინოთ სახნავის, ბაღის, ვენახის და სათიბების სრული ინვენტარიზაცია, უნდა დაზუსტდეს და გამოიყოს საკარმიდამო (სამოსახლო) მიწის ფონდი პერსპექტივების გათვალისწინებით.

მიწების განაწილების კრიტერიუმი უნდა გახდეს ამჟამად არსებული საიჯარო მიმაგრება საკარმიდამო მიწის ფართობების ოდენობის გათვალისწინებით ზღვრულ ფარგლებში ცალკეული სოფლების თავისებურებათა მიხედვით.

მიწის განაწილება მოხდება მიწის მუდმივ სარგებლობაში მემკვიდრეობით გადაცემის აქტის საფუძველზე. რენტის გადასახადი დაწესდება არსებული წესის შესაბამისად.

გადაუდებელი საზრუნავი

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმზე

ამასთან ვენახისა და ბაღის ნაკვეთებზე მაწის მფლობელი იხდის ერთეული ნარგაობის ღირებულებას კომისიის დადგენილი ფასის მიხედვით, რომელიც განაწილდება სოფლის დანარჩენ მცხოვრებლებზე. რენტის გადახდა განხორციელდება 1993 წლის 1 იანვრიდან. საძოვრები რჩება სოფლის სარგებლობაში. მისი ღირებულება ანაზღაურდება სასოფლო საბჭოს მიერ სულადობის მიხედვით.

პირუტყვის განაწილება განხორციელდება შესყიდვის საფუძველზე, სურვილის მიხედვით სახელმწიფო ფასით, ანდა მოხდება მათი სახელმწიფოსათვის ჩაბარება.

შენობა-ნაგებობანი, რომლებიც გამოსაყენებლად ვარგისია, სახელმწიფო ვალის დაფარვის შემთხვევაში გადაეცემა ადგილობრივ საბჭოებს ბალანსიდან ბალანსზე პერსპექტიული დარგების განვითარებისათვის.

მანქანა - ტრაქტორები უსასყიდლოდ ბალანსიდან ბალანსზე-გადაეცემათ მანქანა-ტრაქტორთა რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს სახელმწიფო ფასებით მოსახლეობის მომსახურებისათვის. ამასთან მსურველებს მიეყიდება მანქანა-ტრაქტორები ადგილების მიხედვით.

პენსიის, დახმარების, დაზღვევის უზრუნველყოფის და სხვა საკითხები გადაწყდება უშუალოდ გლეხების სურვილით სადაზღვევო და სოციუზრუნველყოფის ორგანოებთან პირადი ურთიერთობის საკუძველზე.

ცალკეულ კოლმეურნეობებში გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა განხორციელდება საკოლმეურნეო წესდების შესაბამისად ინდივიდების წერილობითი განცხადებების საფუძველზე, ამასთან მხედველობაში იქნება მიღებული ის ვითარება, რომ გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის შესაძლებლობა ეძლევათ ინდივიდებს კოლმეურნეობის დარჩენის შემთხვევაშიც.

გლეხურ მეურნეობებში მომსახურებისა და ნამეტი პროდუქტების დამზადებისა და რეალიზაციისათვის გათვალისწინებულია შეიქმნას რეგიონალური კოოპერატივები, რომელთა წევრებად გაერთიანდებიან გამონთავისუფლებული კადრების ნაწილი, ხოლო აგროსამრეწველო გაერთიანების ნაცვლად შეიქმნება საწარმოო-ტექნიკური მომსახურებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის ორგანიზაციის რაიონული გაერთიანება, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ადგილებზე შექმნილი კოოპერატივების საქმიანობას და იმუშავებს სამეურნეო ანგარიშზე.

გლეხურ მეურნეობებზე გადასვლისათვის მუშაობა უკვე დაიწყო, შედგენილია განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა, გრაფიკი და დროებითი დებულება, რომელთა შესაბამისად პირველ რიგში მიმდინარეობს სამოსახლო მიწების ფონდების დაზუსტება, გამოყოფა და განაწილება. ჩამოიწერება აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანიზაციებში რიცხული განვადებული ვალები და სხვა.

რაიონული საბჭოს აღმასკომი, მასთან შექმნილი რაიონული კომისია გადამჭრელ ოპერატიულ ღონისძიებებს განახორციელებს რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების თანმიმდევრობით გლეხურ მეურნეობაზე გადასვლისათვის, ამასთან პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის.

მასშტაბური, შემოქმედებითი სიახლეებით სავსეა ის სამუშაო, რაც რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გასწიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ვინაიდან პარტიულ მუშაობაში შემოვიდა საქმიანობის არასტანდარტული ფორმები და მეთოდები. პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები მათი მოღვაწეობის როლსა და ავტორიტეტს საუკეთესო საბოლოო შედეგებში უნდა ხედავდნენ. ამისათვის საჭიროა კომუნისტები და უპარტიო ამხანაგები შევაჩვიოთ სიტყვისა და საქმის ერთიანობას.

ახლა, როდესაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის მეექვსე და დანარჩენმა მუხლებმა დააკანონეს კომუნისტური პარტიის, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი მოძრაობების თანასწორუფლებიანობა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობის მართვაში, რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები ვალდებული არიან პოლიტიკური დიალოგის გზით მთელი ძალღონე მოახმარონ მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებას, რაიონის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების დადებითად გადაჭრას.

განსაკუთრებით ახალ თვისობრივ დონეზე უნდა ავიყვანოთ იდეოლოგიური საქმიანობა. საჭიროა იდეოლოგიური სამსახურის მუშაკი იყოს ზნეობრივად ჯანსაღი, პრაქტიკული, ეკონომიკურად მოაზროვნე კომუნისტი. ყოველნაირად უნდა შეიზღუდოს ფორმალიზმი, ქაღალდომანია, იდეოლოგიური ღონისძიებების, ციფრების გამოდევნება. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ მშრომელ მასებამდე მიდიოდეს ჯანსაღი, სწორ პოლიტიკურ რელსებზე მიმართული საჭირბოროტო საკითხები.

ახალი აგრარული პოლიტიკის განხორციელებისას უდიდესი როლი ენიჭებათ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს. მათი საბრძოლო ამოცანა უნდა გახდეს ბუნებრივი მიწის რესურსების სრულად და რაციონალურად გამოყენებისათვის ზრუნვა, მშრომელთა უფლებების დაცვა, სოფლის სოციალურ-კულტურული ბაზის განვითარება. ისინი სულ უფრო და უფრო ეფექტიან გავლენას უნდა ახდენდნენ სასურსათო პროგრამის განხორციელებაზე, იბრძოდნენ ადგილებზე შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცების და ჯანსაღი მორალურ - ფსიქოლოგიური კლიმატის დამკვიდრებისათვის.

პლენუმზე ხაზი გაესვა იმას, რომ პარტიის პოლიტიკური კურსის განხორციელებაში თავისი წვლილი მუდამ შექონდა პროფკავშირულ ორგანიზაციებს. საბჭოთა ქვეყნის არსებობის ისტორიაში დღევანდელობა ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდია მათ მუშაობაში შემოქმედებითობის დამკვიდრებისათვის, ვინაიდან საქართველოს სსრ კონსტიტუციის მეექვსე მუხლის ახალი რედაქციის შესაბამისად პროფკავშირებს, როგორც სხვა პარტიებს, თანაბარი უფლება აქვთ მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში. მეტი ინიციატივიანობა და დინამიზმი, აი, რას მოითხოვს დღევანდელობა მათგან. პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია, რომ პროფკავშირების რაიონული საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობით, რაიონის დარგობრივმა პროფკავშირებმა მუშაობის სრულყოფის კვალობაზე თავიანთი კვალიფიციური სიტყვა თქვან ახალი სამეურნეო მექანიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში აგრარული პოლიტიკის განუხრელად განხორციელებისათვის.

რევოლუციური მოვლენებით აღსავსე პერიოდმა გაბედულად წარმოაჩინა აუცილებლობა უარი ეთქვას ყველაფერს ხელოვნურს, მოჩვენებითს და დრომოჭმულს, რაც ქვეყნის ისტორიის დანაშრევებში დარჩა. პროგრესულისაკენ სწრაფვა სრული გაბედულობით გამოხატა რესპუბლიკის ახალგაზრდობამ. სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოწოდება, რაც ქართველ ახალგაზრდობას თავიანთი შემოქმედებითი ცხოვრების უპირველეს დევიზად აქვს გადაქცეული, რაიონის ახალგაზრდობის ძირითად სამოქმედო პროგრამად უნდა გადავაქციოთ და ამ საქმეში კომკავშირის რაიონულმა კომიტეტმა თვისობრივი გარდაქმნით, უთუოდ უნდა გამოკვეთოს წინამძღოლის, ლიდერის როლი.

დასასრულს პლენუმის მონაწილეებმა რწმენა გამოთქვეს, რომ ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებას ღრმა თვისობრივი ცვლილებების დრო დაუდგა, რაიონის კომუნისტები ცხოვრების მიმდინარეობის ავანგარდში ჩადგებიან, გააჩაღებენ ორგანიზატორულ შრომას, აგრარულ პოლიტიკას უზრუნველყოფენ იდეოლოგიურად, შექმნიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ წანამძღვარებს იმისათვის, რომ წინ წაიწიოს რაიონის ეკონომიკამ.

ჩვენს საჭირისუფლოში

გუდულაშის ეკლესია



სოფლების უსახელოსა და და უცხერის თავზე, მაღალ, ლამაზ გუდულაშის გორაზე, ურთხელის დღემდე ხელუხლებელმა კორომმა არ შეიძლება არ მიიქციოს მნახველის ყურადღება. აქ ერთ მეტრამდე და ერთ მეტრზე მეტი დიამეტრის მქონე 40-ზე მეტი ურთხელი დგას. იგი ძველთაგანვე სალოცავ ადგილადაა მიჩნეული. აქვეა გვიანი შუა საუკუნეების ლეჩხუმის ძეგლებიდან ერთ-ერთი საყურადღებო გუდულაშის წმინდა გიორგის ეკლესია. იგი არა მარტო სოფლების: უსახელოს, ხოჯის, უცხერის, ნასპერის, ღვირიშის მცხოვრებთა სალოცავია, არამედ იქ „გუდულაშობის" დღესასწაულზე თითქმის ლეჩხუმის მეტი წილი სოფლებიდან დადიან მლოცველები.

გუდულაშის ეკლესია საშუალო ზომის ნაგებობაა. იგი თიხის ქვის ფილებითაა მოგებული, ოვალური მოხაზულობის მოედანზე დგას. ჩრდილო დასავლეთით დარჩენილი ნანგრევები კარიბჭისა უნდა იყოს. სამხრეთ დასავლეთით, მოშორებით, სწორკუთხა ნაგებობის კვალი გაირჩევა.

დარბაზული ეკლესია გეგმით კვადრატს უახლოვდება. ნახევარწრიულ, ფართოდ გაშლილ აფსიდში აღმართულია ტრაპეზი. სივრცის გადამხურავი კამარის საბჯენი თაღები პილასტრებზე ყოფილა დაყრდნობილი. ისინი მცირედ არის გამოსული კედლის სიბრტყიდან. აღმოსავლეთით გაჭრილი სარკმელი სწორკუთხაა, მეორე—თაღოვანი მოხაზულობის ჩრდილოეთ კედელშია. ერთადერთი კარი დასავლეთით არის მოწყობილი. იგი გარედან ვიწრო და სწორკუთხაა, მაღალი ზღურბლით, შიგნით კი თაღით არის დასრულებული. გრძივი კედლების გასწვრივ ჩამოსაჯდომი საფეხურია. კედლებს მაღლა თარო შემოსდევს, რომელიც გვიან მოწყობილი ბრტყელი გადახურვისათვის უნდა იყოს განკუთვნილი. ერთსაფეხურიან ცოკოლზე მდგარი ეკლესიის სადა ფასადების ერთადერთ მორთულობას აღმოსავლეთის სარკმლის წყვილი ლილვით გაფორმებული საპირე და მარტივად პროფილირებული კარნიზი წარმოადგენს. საშენ მასალად გამოყენებულია ერთმანეთზე კარგად მორგებული ქვის კვადრები. თლილი ქვის ყოფილა კარიბჭე და ეზოს ფილაქანიც.

სალოცავზე ურთხელის კორომის განახლებას ერთგვარად ხელს უშლის უხეიროდ ჩახერგილი, წაქცეული, გამხმარი ხეები. კარგი იქნება, თუ მეზობელი სოფლების ახალგაზრდები გამოიჩენენ ინიციატივას და მომავალ გუდულაშობამდე გაასუფთავებენ სალოცავს.

„გუდულაშობა" ყოველთვის ემთხვევა ამაღლების დღესასწაულს, რომელიც იმართება აღდგომიდან 40 დღის შემდეგ. მიმდინარე წელს იგი გაიმართება 24 მაისს.

გუმბათგადახდილი გაირღვა ტაძარი
ელვათა კვეთებამ კედლები დაბზარა
საკურთხეველში გამდნარ ვარსკვლავთა
იღვრება ღვარი
აალდა ჯვარი
ზეცაა მწირველი!

ზვიად გამსახურდია.

ჯ ვ ა რ ცმ ა

დღეს დიდი ხუთშაბათია, მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შესვლიდან (ბზობა) მე-5 დღე. ამ დღეს გაიმართა პასექისწინა საღიდუმლო სერობა, სადაც ინახად მჯდარმა ქრისტემ ამცნო თავის 12 მოწაფეს, რომ ერთ-ერთი მათგანი გასცემდა მას.

„და როცა ჭამდნენ ისინი, აიღო პური იესომ და აკურთხა, გატეხა, მისცა მოწაფეებს და უთხრა: მიიღეთ, ჭამეთ, ეს არის ჩემი ხორცი.

და აიღო სასმისი და აკურთხა, მისცა მათ და თქვა: ამით სვით ყველამ.

ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დათხეული ცოდვათა მისატევებლად“ (სახარება მათესი, თავი 26-ე).

სერობის შემდეგ იესო მოწაფეებთან ერთად გაემართა გეთსიმანიაში, რათა მომზადებულიყო სიკვდილისა და მომავალი ტანჯვისათვის. სანამ იგი მწუხარებდა და ილოცა, მოწაფეებს, მიუხედავად მისი გაფრთხილებისა, ეძინათ. იესომ სამჯერ გააღვიძა ისინი და უთხრა: „აჰა, მოაწია დრომ, და ძე კაცისა მიეცემა ცოდვილთა ხელში“ (მათე, თავი 26-ე, მუხლი 45). ეს ადასტურებს, რომ იგი თავისი ნებით მიეცა მტარვალთ, როგორც თავისივე ბედის გამგებელი.

გამთენიისას გამოჩნდა კიდეც გამცემი, თორმეტთაგან ერთი მოწაფე, იუდა ისკარიოტელი, რომელსაც თან ჯარისკაცები და მღვდელთმთავრები ახლდნენ. იუდა ეამბორა მოძღვარს, ეს ნიშანი ეკადრა, რომ მომხვდურთ შეეპყროთ ქრისტე. ერთ-ერთმა მოწაფემ, პეტრემ იშიშვლა მახვილი და ყური ჩამოათალა მღვდელთმთავრის მონას, რასაც მოჰყვა ქრისტეს სიტყვები: „ჩადგე მახვილი ქარქაშში, რადგანაც ყველა, ვინც აიღებს მახვილს, მახვილითვე დაიღუპება... ხოლო ეს იქმნა, რათა აღსრულდეს დაწერილი წინასწარმეტყველთა მიერ. მაშინ ყველა მოწაფემ მიატოვა ის და გაიქცა“ (მათე, 26, 52-56).

მას შემდეგ, რაც მღვდელთმთავრები და მთელი სინედრიონი ტყუილად გაისარჯნენ და ცრუმოწმეთა ცილისწამებამაც ვერ დააჯერა ხალხი, ერთი მღვდელთმთავართაგანი შეეკითხა იესოს: „გაფიცებ ცოცხალ ღმერთს, გვითხარი, შენ ხარ თუ არა ქრისტე, ძე ღმერთისა?“ (მათე, 26, 63), რაზეც დასტური მიიღო მისგან. ეს ღვთისგმობად ჩათვალეს და განაჩენიც გამოუტანეს: სიკვდილი.

ბრბო აფურთხებდა და სცემდა იესოს. ტაძრის ეზოში კი იჯდა პეტრე, თავისი მასწავლებლის - ბედით შეწუხებული. როდესაც მხეცლებმა იცნეს ქრისტეს მოწაფე, შეშინებულმა პეტრემ იუარა მისი ნაცნობობაც კი. იმ ღამით კიდევ ორჯერ განმეორდა მოწაფისაგან მოძღვრის უარყოფა და მხოლოდ შემდეგ გაახსენდა პეტრეს, როგორ უთხრა იესომ, ამაღამ მამლის მეორე ყივილამდე სამჯერ უარმყოფო.

როცა იუდამ დაინახა თავისი საქციელის სიმძიმე, მოინანია, დაუბრუნა უხუცესებს და მღვდელთმთავრებს ღალატის საფასური—30 ვერცხლი და თავი ჩამოიხრჩო.

იესოს მსჯავრი რომის მეფისნაცვალს პილატეს უნდა გადაეწყვიტა. პილატემ თვითონ დაჰკითხა იგი, მაგრამ მის საქციელში დანაშაული ვერ დაინახა. და რადგან მეუღლემაც გააფრთხილა არ მიეღო მონაწილეობა მართალი კაცის დასჯაში, მან ხალხს მიანდო ყველაფერი. იუდეაში წესად იყო, დღესასწაულებზე ათავისუფლებდნენ იმ დამნაშავეს, რომელსაც ხალხი მოითხოვდა, თუნდაც კაცისმკვლელი ყოფილიყო იგი. და ვინაიდან პასექი იყო, იუდეველთა დღესასწაული, პილატემ შესთავაზა ხალხს, ამოერჩიათ ვინ დასჯილიყო—იესო თუ კაცისმკვლელი ბარაბა. მღვდელთმთავრებისაგან მოსყიდული ბრბო ჯიუტად მოითხოვდა იესოს მოკვდინებას. ჯვარს ეცვას!—გუგუნებდა მოედანი. პილატემ ხელი დაიბანა წყლით, რითაც აჩვენა თავისი უბრალოება ქრისტეს დასჯაში და ხალხი გააფრთხილა უფლის სამსჯავროთი (აქედან მოდის ცნობილი ფიგურალური თქმა—ხელი დაიბანა).

ბარაბა გაათავისუფლეს, ხოლო იესო გაამათრახეს, შემოსეს მეწამული ქლამიდით, თავზე ეკლის გვირგვინი დახურეს და დიდხანს შეურაცხყოფდნენ „იუდეველთა მეფეს“. შემდეგ შემოახიეს სამოსი და ჯვარზე საცმელად წაიყვანეს. გოლგოთისაკენ იესოს ჯვარი სიმონ კირენელს მიჰქონდა.

იესო ჯვარს აცვეს ორ ყაჩაღთან ერთად. უფლის ძემ ისე მიიღო სიკვდილი, ორორიგ სხვა ჩვეულებრივმა ცოდვილმა, მაგრამ სწორედ ამით აღამაღლა მან ადამიანები.

მწუხარალ ხეზეს ჯვარსაცმელმა ნაღვლიანი ბოლოსკენ ... [illegible] ... ალი მიაწოდეს. მერე წილი ყარეს და მისი სამოსი გაიყვეს, დაუდეს თავთით ბრალდება—წერილი: ეს არის იესო—იუდეველთა მეფე. ხოლო მღვდელთმთავრები, გამვლელნი და ჯვარცმული ავაზაკები აგინებდნენ და დასცინოდნენ მას, რაზეც ძე უფლისა პასუხობდა: „უფალო, მიუტევე, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმნიან“.

ჯვარცმიდან 3 საათის შემდეგ წყვდიადმა მოიცვა ქვეყანა, ხოლო კიდევ 3 საათის შემდეგ იესომ თავი აიღო და შეჰღაღადა: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე? და განუტევა სული. „და აჰა, ზემოდან ქვემომდე, შუა ჩაიხა **ტაძრის ფარდა, და იძრა მიწა** და დასკდნენ კლდენი“ (მათე, 27, 51) და როცა იხილეს ამგვარი სასწაული, აღმოხდათ: „ჭეშმარიტად ეს კაცი ძე იყო ღმრთისა“ (ლუკა 15, 39)

ასე ევნო და ეწამა ადამიანთა მოდგმისათვის იესო ქრისტე, მაცხოვარი ჩვენი. მას აქეთ ჯვარცმის დღე დიდ პარასკევად იწოდება. ესაა ვნების შვიდეულის მე-6 დღე, იგივე წითელი პარასკევი, როცა ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი ეძლევა მძიმე მარხვას.

ჰუბლიკაცია მოამზადა

ია ხმელიძემ.

ექიმი გვირჩევს

შაქრიანი დიაბეტი

შაქრიანი დიაბეტის გამომწვევ ფაქტორად მიჩნეულია სხვადასხვა მიზეზით კუჭუკანა ჯირკვლის ენდოკრინული ფუნქციის დაქვეითება, ინფექციები, ნერვულ-ფსიქიკური ტრამვები, ჭარბი კვება, სიმსუქნე და გენეტიკური ხასიათის დარღვევები.

შაქრიანი დიაბეტის ყველაზე ხშირი და დამახასიათებელი კლინიკური ნიშნებია: პირის სიმშრალე, გაძლიერებული წყურვილი და შარდვა, საერთო სისუსტე, წონაში დაკლება, კანის ქავილი, მხედველობის დაქვეითება.

დიაბეტი შეიძლება სხვადასხვანაირად დაიწყოს და მიმდინარეობდეს: თანდათანობით, მწვავედ ანდა ხანგამოშვებით. რაც უფრო ხნიერია ავადმყოფი და დიაბეტი მსუბუქი, მით უფრო თანდათანობით იწყება ავადმყოფობა. პირიქით, ახალგაზრდებს, მითუმეტეს ბავშვებს, დიაბეტი უფრო ხშირად ეწყებათ მწვავედ და მძიმედ მიმდინარეობს.

შაქრიანი დიაბეტის დროს თითქმის ყველა ორგანო განიცდის დიაბეტისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს. კერძოდ, ნერვული სისტემა, თვალი, თირკმლები, გულ-სისხლძარღვთა სისტემა. გართულებებიდან მნიშვნელოვანია დიაბეტური და ჰიპოგლიკემური კომა, რომლის ნიშნების გამოვლენისთანავე ავადმყოფი უნდა ეჩვენოს ექიმს.

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა მკურნალობა დაავადების სიმძიმის მიხედვით ხდება. გამოყენებულია დიეტოთერაპია, ტაბლეტოთერაპია და ინსულინით მკურნალობა.

შაქრიანი დიაბეტის პროფილაქტიკა არის ზოგადი და ინდივიდუალური ხასიათის. ზოგადი პროფილაქტიკა გულისხმობს კვებისა და ცხოვრების საერთო ჰიგიენური რეჟიმის დაცვას: კვებითი ჭარბი ექსცესებისა და სიმსუქნის თავიდან აცილება, საკვები პროდუქტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობის ნორმირება, უფრო მეტად ნატურალური, ძნელად ასათვისებელი ნახშირწყლოვანი პროდუქტების გამოყენება, ფიზიკური აქტივობის რეგულაცია, ცხოვრებისა და შრომის რეჟიმის სწორი ორგანიზაცია და სხვა.

ინდივიდუალური პროფილაქტიკა მოიცავს დიაბეტის მხრივ რისკფაქტორების მქონე პირთა ინდივიდუალურ ზედამხედველობას, მათ დროულ გამოვლენას და სპეციალიზებულ ღონისძიებათა ჩატარებას. მაგალითად, სიმსუქნის მკურნალობა, ზოგიერთი პრეპარატის პროფილაქტიკური მიზნით გამოყენება.

რისკფაქტორებს მიეკუთვნებიან: ბავშვი, რომლის ტყუპისცალს აღმოაჩნდება დიაბეტი; როცა პიროვნებას ორივე მშობელი ჰყავს დიაბეტით დაავადებული; როცა პიროვნებას ერთი მშობელი ჰყავს დაავადებული და ამავე დროს მეორე მშობლის უახლოესი ნათესავი დიაბეტითაა დაავადებული; ქალი, რომელსაც მძიმე წონის (4,5 კილოგრამი და მეტი) ბავშვი შეეძინა (სულერთია ცოცხალი თუ მკვდრად შობილი); ქალი, რომელსაც უმიზეზოდ უვითარდება აბორტები ანდა ებადება მკვდარი და მახინჯი ნაყოფი.

ინდივიდუალური პროფილაქტიკის მიზნით ავადმყოფს გარდა სისხლის და შარდის საერთო ანალიზისა, ყოველწლიურად უნდა ჩაუტარდეს შაქარზე გამოკვლევა, ასევე აუცილებელია თვალის ექიმის და ნევროპათოლოგის კონტროლი.

ვ. ჩაჩხიანი,
ცაგერის რაიონული საავადმყოფოს ექიმი ენდოკრინოლოგი.

მკითხველს სჭირდება „ბურდა“

მივესალმები იმას, რომ რაიონში შემოდის გერმანული ჟურნალი „ბურდა“, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვერ მივაღწიეთ ვერც ერთი გზით, რომ მისი ერთი ეგზემპლარი ხელმისაწვდომი იყოს ბიბლიოთეკის მასობრივი მკითხველისათვის. როცა ცაგერის სოიუზპეჩატის განყოფილებას მივაკითხეთ, განყოფილების გამგემ გვიპასუხა: ჟურნალი დალიმიტებული არ არის და არ შეიძლება მისი გამოწერაო. მე კი ვიცი, რომ ბევრ ცაგერელს ოჯახში ყველა ნომერი მისდის და აქვს. თუ კი არ იწერება, ხელი მაინც მიუწვდებათ?...

ვითხოვთ დახმარებას, რომ ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის ერთი ცალი ჟურნალი მაინც გამოიმეტონ, რომლის თანხას მთელი წლის მანძილზე გადავიხდით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ყველას როდი შეუძლია სხვადასხვა არხით შეიძინოს იგი.

ც. სადილიანი,
ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი.

ბ ი ლ ი ტ ე ბ ი

დაღი ვარლამის ასულ დაშნიანს
მევიუდ ზოთას ძე ლიპარტელიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. მრავალი და-ძმა შემატებოდეს. გემრავლებინოთ ფუძე-ჭერი.

ნელი, თამარ, ნანული, მარო, კლავდია ლეთოდიანები.

დალი დაშნიანს
მევლუდ ლიპარტელიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, გაგეზარდოთ ღირსეული ქართველი ქალი.

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ლაჯანურჰესის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ლაჯანურჰესის ყოფილი მთავარი ინჟინერი
პავლე კონსტანტინეს ძე ბახტაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ეთერ სეითის ასული ლაკვეხელიანი.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, **განყოფილებების:** ხოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, **გაზეთი გამოდის** სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, **შეკვეთა** 26 **ინდექსი** 66539, **ტირაჟი** 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.